# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

10 ნოემბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№46 (9256)
ფასი 40 თეთრი


## აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ახალციხის ზონალურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში იმყოფებოდა



**ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, ქალბატონი კელი დეგნანი ახალციხის ზონალურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში იმყოფებოდა.**

სტუმრები მიმდინარე სამუშაო პროცესსა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შესაძლებლობებს გაეცნენ. მხარეებმა ის სამუშაოები შეაჯამეს, რომელსაც სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია რეგიონებში ახორციელებს, საუბარი შეეხო სამომავლო გეგმებსაც.

**„მოხარულები ვართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ადგილზე გაეცნო სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის საქმიანობას. ლაბორატორია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, ამ თანამშრომლობის შედეგად კი, მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა“,** – განაცხადა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დირექტორმა, ირაკლი გულედანმა.

კელი დეგნანმა ლაბორატორიაში გამართულ შეხვედრაზე ხაზი გაუსვა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ჩართულობას პანდემიის კვლევასა და ტესტირებაში, ამასთანავე, ისაუბრა ლაბორატორიის როლზე ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების აღმოჩენისა და დიაგნოსტიკის მიმართულებით.

**„ჩვენ მოხარული ვართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მხარს უჭერს ასეთი ლაბორატორიის ფუნქციონირებას“,** – განაცხადა კელი დეგნანმა.

## კელი დეგნანი დვირის სკოლაში



**ამერიკის** ელჩი დვირის საჯარო სკოლაში იმყოფებოდა. კელი დეგნანი მოხალისეობის იმ პროგრამით დაინტერესდა, რომელიც აღნიშნულ სკოლაში 2011 წლიდან პანდემიამდე აქტიურად ხორციელდებოდა. კერძოდ, საუბარია მშვიდობის კორპუსის მოხალისეებზე, რომლებსაც დვირის საჯარო სკოლა მასპინძლობდა. სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ელჩთან გაცნობითი სახის შეხვედრა გამართეს. მოხალისეობის პროგრამის ფარგლებში გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება.

ბორჯომის საგანმანათლებო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის **იზოლდა ლომიძის** განცხადებით, ბორჯომის სკოლები მოხალისეობის პროგრამებში ყოველთვის აქტიურად არის ჩართული.

– ძალიან დიდი პატივი იყო ჩვენთვის ამერიკის ელჩის სტუმრობა. მოხარულები ვართ ამ შესაძლებლობით და უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კელი დეგნანმა სამცხე-ჯავახეთში ვიზიტი ბორჯომით დაიწყო და ეს ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა - განაცხადა იზოლდა ლომიძემ.

ამერიკის ელჩი საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის სკოლებში სტუმრობას აგრძელებს. კელი დეგნანმა ახალციხეში შეხვედრა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთანაც გამართა.

## ჯანდაცვაში დაფინანსების ახალი მოდელი ამოქმედდა

**1 ნოემბრიდან,** სამედიცინო დაწესებულებებში, მომსახურების დიაგნოზთან შეჭირვებული ჯგუფების (DRG) დაფინანსების ახალი მოდელი ამოქმედდა.

(DRG) სისტემით, ავტომატურად გამოითვლება ის სამართლიანი ფასი, რასაც სახელმწიფო, მოქალაქეების ხარისხიანი მკურნალობისთვის გადაიხდის.

ახალი მეთოდის დანერგვის შემდეგ, ერთსა და იმავე მომსახურებას, ყველა კლინიკაში, ერთი ტარიფი ექნება. კლინიკა პაციენტს, დამატებით გადასახადს ველარ დაუწესებს - როგორიცაა, მაგალითად, ე.წ. VI პალატის ან აყვანილი ექიმის ჰონორარი.



ყველა პაციენტი მხოლოდ იმ თანხას გადაიხდის, რასაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თანაგადახდის წილი (0-დან 30-მდე, პაკეტების შესაბამისად) ითვალისწინებს.

(DRG) მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, დაფინანსების ფართოდ აპრობირებული და ეფექტური მეთოდია და მისი საშუალებით, ხელმისაწვდომია ხარისხიანი მკურნალობა ზედმეტი დანახარჯების გარეშე.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ნომერზე: 15 05

## წაღვერელებს წყლის პრობლემა მომავალ წელს მოეხსნება



**წაღვერის** წყლის სისტემისა და წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.

წაღვერში არსებული წყლის ინფრასტრუქტურა მოძველებულია და რეაბილიტაციას საჭიროებს.

პროექტის ფარგლებში აშენდება წყლის გამწმენდი ნაგებობა, მოეწყობა ახალი სათავე ნაგებობა და ქსელები.

შედეგად, წაღვერის მოსახლეობა ხარისხიანი წყლით უწყვეტ რეჟიმში ისარგებლებს.

მშენებლობის დასრულება 2023 წლის ზაფხულის სეზონზეა დაგეგმილი.

## ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოფელ ყვიბისში, ვარდგინეთში, რველში, ზანავში, კორტანეთსა და ბეშეთში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.**



**ადგილობრივი** მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სოფელ ყვიბისში სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტის განსახორციელებლად 40000 ლარია გამოყო.

**ადგილობრივი** მოსახლეობის გადაწყვეტილებით სოფელ ვარდგინეთში ფეხით სავალი გზის რეაბილიტაცია და მოაჯირების მოწყობის სამუშაოები განხორციელდა. პროექტის განსახორციელებლად 20000 ლარი გამოიყო.



**ადგილობრივი** მოსახლეობის გადაწყვეტილებით სოფელ რველში ბეტონის გზა და საბავშვო ატრაქციონი მოეწყო. პროექტის განსახორციელებლად 20000 ლარი გამოიყო.

ადგილობრივი მოსახლეობის გადაწყვეტილებით სოფელ ზანავში სკვერის კეთილმოწყობა მიმდინარეობს. პროექტის განსახორციელებლად 24000 ლარი გამოიყო.

**ადგილობრივი** მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სოფელ კორტანეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზა მოიხრეშა. პროექტის განსახორციელებლად 24000 ლარი გამოიყო.

**ადგილობრივი** მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სოფელ ბეშეთში გზის დამცავი საყრდენი კედელი მოეწყო.

პროექტის განსახორციელებლად 20000 ლარი გამოიყო.

2022 წელ ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ცენტრალური ბიუჯეტიდან 436 000 ლარი დაიხარჯება. აღნიშნულ თანხას ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 436 000 ლარის ოდენობით დაემატება. ჯამში სოფლებში შერჩეული პროექტების განხორციელებაზე 872 000 ლარი დაიხარჯება.

---

**ლიკანში** მესხეთის №35 და №61 ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და ღობის რეაბილიტაცია დასრულდა.



პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადი, აივანი და კარფანჯარა, მოეწყო დეკორატიული ელემენტები და განათება. ასევე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს არსებულ ღობეს და თაღს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.



მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები შპს „ბესთ ბილდ გრუპმა“ შეასრულა.

აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან 849 519 ლარი გამოყო.

**ლიკანში** ორი ბინის ფასადის რეაბილიტაცია დასრულდა

ბორჯომში მესხეთის ქუჩის №35-სა და №61-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გარე ფასადის რეაბილიტაცია დასრულდა. მთლიანად შეიცვალა კარ-ფანჯრები, განახლდა აივნები, დამონტაჟდა დეკორატიული განათება, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ეზოს ღობეს და თაღს. სამუშაოებზე 849 519 ლარი დაიხარჯა

---

**სოფლის** მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დაბა ახალდაბაში სკვერის კეთილმოწყობა მიმდინარეობს.



პროექტის ფარგლებში, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები ბორდიურით და მოპირკეთდება ბაზალტის ქვით. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად 40 000 ლარია გამოყოფილი.

საკონსულტაციო შეხვედრები ბორჯომის მუნიციპალიტეტის 33 სოფელში გაიმართა. სოფლის კრებებზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა განხორციელებასაც დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა მოხმარდება.

2022 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ცენტრალური ბიუჯეტიდან 436 000 ლარი დაიხარჯება. აღნიშნულ თანხას ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 436 000 ლარის ოდენობით დაემატება. ჯამში სოფლებში შერჩეული პროექტების განხორციელებაზე 872 000 ლარი დაიხარჯება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის ახალდაბაში საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, შენობის პირველ სართულზე იცვლება კარფანჯარა, იხურება სახურავი, ფასადს უტარდება რეაბილიტაცია. ასევე, დაგეგმილია შიდა კიბის რეაბილიტაცია.

აღნიშნული სამუშაოებისათვის ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 247 237 ლარია გამოყოფილი.

სამუშაოებს შპს „ბესთ ბილ გრუპი“ ასრულებს.

ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდება.

# რაღაა იგი სინათლე!..

**აღიარებული ჭეშმარიტებაა, პრესამ და ზოგადად მედიამ ფეხი უნდა აუწყოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, არ ჩამორჩეს საზოგადოებაში გავრცელებულ ობიექტურ, ჭეშმარიტ მოვლენებს და პასუხი გასცეს „ყურით მოთრეულ“ ჭორებს არ აყვეს უსამართლო ფეიკებს, რომლებიც არღვევს საზოგადოების სიმშვიდეს, წყობიდან გამოყავს ადამიანები...**

**ამიტომაცაა, რომ ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც საზოგადოებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის, რაც უფრო ობიექტური და სამართლიანია გამოქვეყნებული ინფორმაცია, მით უფრო მშვიდადაა ადამიანი.**

**შევეცდები რამდენიმე მაგალითით ნათელი მოვფინო უარყოფითი და ობიექტური ინფორმაციის გავრცელების ავ-კარგს.**

**სულ ახლახანს** თბილისში, ვაკის დიდებულ პარკში არსებულ დეკორატიულ აუზში ტრაგიკულად დაიღუპა 13 წლის გოგონა **მარიტა ბაშალეიშვილი.** მოზარდის დაღუპვა გამოიწვია აუზში უხარისხოდ და უპასუხისმგებლოდ დამონტაჟებულმა ელგაყვანილობამ. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დაკავებულია ცხრა პასუხისმგებელი პირი, ამ განცხადების გამოქვეყნებას სწრაფად მოყვა რადიკალური ოპოზიციის მხრიდან გამოხმაურება, პარლამენტის და მერიის წინ გამართულ სახელდახელოდ მოწყობილ რამდენიმე ათეულ კაციანი აქციის მონაწილეები ითხოვდნენ ქალაქის მერის კახი კალაძის თანამდებობიდან გათავისუფლებას, რამაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

განა შეიძლება ადამიანი უსაფუძვლოდ, დაუმსახურებლად დაისაჯოს... ან ვინ დაადგინა კალაძის ბრალეულობა... ამ კითხვაზე თვით რადიკალურ ოპოზიციასაც არ აქვს ობიექტური პასუხი. მაშ, რას ემსახურება ასეთი ფეიკი, ეს ხომ სერიოზულად აღიზიანებს ადამიანებს. ვის სჭირდება ასეთი აქცია, ან მათი კატეგორიულად მოთხოვნა.

სულ ახლახანს ლიკანში არსებულ მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე, მარტოხელა მოხუცებული ქალბატონის, ბინაში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად აფეთქებას, ამ ბინის მეპატრონის სიცოცხლე შეიწირა, სერიოზულად დაზიანდა შენობის სამი სარულიც... და ატყდა ქირქილი ქალაქში, ეს აფეთქება შიწირავს მერიის ხელმძღვანელობასო...

კი, მაგრამ სად არის ლოგიკა, ბუნებრივ აირს ჰყავს მიმწოდებელი, გაუმართავ აპარატურას თუ დანადგარს პერიოდულად უნდა ამოწმებდეს შესაბამისი სამსახური და ა.შ. რა შუაშია ქალაქის ხელმძღვანელობა? მან ისედაც ბევრი ინერვიულა და იწვალა აფეთქების შედეგად მაცხოვრებელთა უსაფრთხოდ დაბინავებისათვის...

ეს ორი მაგალითი ნათელყოფს საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ აზროვნებაზე. ერთნი ობიექტურად აფასებენ მომხდარს, მეორენი (მცირე ნაწილი) ცდილობს თავი გამოიჩინოს „განსხვავებული“ აზრებით... შედეგიც სახეზეა: - საქმეში ჩაუხედავი, გაუთვითცნობიერებული ადამიანები ნელა, მაგრამ მაინც ცდილობენ ხელისუფლების დადანაშაულებას. მათი აზრი ურყევია (აი, მე რომ მოვალ ხელისუფლების სათავეში, ასეთი ტრაგედია აღარ მოხდება). არადა, კარგად გვახსოვს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის ქვეყნის სათავეში ყოფნის წლებში გაზის გაჟონვისას ათობით ადამიანი იღუპებოდა, გაგუდული მეშახტეებიც გამოყავდათ მაღაროებიდან, გვახსოვს ბევრი ახალგაზრდა ქუჩაში ჩაცხრილური, ნაწამები პატიმრებიც, უხარისხოდ აშენებული და დანგრეული ხიდები, დამეწყრილი გზები და ბევრი სხვა უბედურებაც გვახსოვს, რომელი მერი და პრემიერ-მინისტრი მოხსნეს და მისცეს პასუხისგებაში? არცერთი. მაშ, ახლა რატომ ითხოვენ, ქალაქის მერის გადაყენებას?

პასუხიც მარტივად გასაცემია. რადიკალურ ოპოზიციას მომხდარი ტრაგედიის ობიექტურად შეფასება კი არ სურს, არამედ ჩასაფრებულია, როგორმე ბრალი დასდოს ხელისუფლებას, ხშირად უსაფუძვლოდ. ეს მისი ყოველდღიური საქმიანობის საფუძველთა საფუძველია.



ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ ტრაგედიებს, გაუგებრობებს, ავარიებს, უხარისხოდ აშენებულ და გაფუჭებულ საქმეებს სათავეში უდგანან უპასუხისმგებლო ადამიანები, ნეპოტიზმით დაწინაურებული პიროვნებები, უცოდინარი, გაუნათლებელი „სპეციალისტები“, რომელთა საქმიანობა და თანამდებობა არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებას. ვიცი, მაგალითებს მომთხოვთ. კი ბატონო, ჩამოვთვლი რამდენიმეს, ბორჯომის ცენტრში, მტკვრის სანაპიროზე „გალფის“ ბენზინგასამართ სადგურთან მუნიციპალიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ წლების წინ გაცა ნებართვა, ფოსტის შენობის ასაშენებლად. ვის მოუვიდა აზრად ამ ადგილზე შენობის ჩადგმა, ეს ხომ ქალაქის განაშენიანებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდების კლასიკური მაგალითია (არადა ფოსტას საკმარისი ფართობი აქვს შენობის პირველ სართულზე).

მეორე მაგალითი: „თიბისი“ ბანკიდან „ავერსის“ აფთიაქამდე არსებულ ტროტუარზე ანუ ადამიანთა ფეხით სავალ ნაწილზე, წვიმიან ამინდში ჯობია არ გაიაროთ, ამ ორიოდე წლის წინ უხარისხოდ დაგებული ფილებიდან ამოხეთქილი ჭუჭყიანი წყლით ისე დასველდებით, სახლში მისულები გასარეცხი გახდებით. რა უთხრათ ამ მშენებელ ინჟინერს ან იმ ხალხს, რომელმაც უხარისხოდ, უპასუხისმგებლოდ შეასრულა თავის მოვალეობა?

არაერთხელ დავწერეთ ბორჯომში საგანგაშო თემაზე, კვალიფიციული ხელოსნების დეფიციტზე, მუნიციპალიტეტში თითზე ჩამოსათვლელი კვალიფიციური ხელოსნები შემოგვრჩა, არადა, ბევრი ჩემულობს, მაღალ კვალიფიციურ კალატოზობას, ზეინკლობას, შემდუღებლობას, დურგლობას, მეთუნუქეობას და ა.შ. მაგრამ მათი დაბალი კვალიფიკაცია სახეზეა, უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, უპასუხისმგებლობა, საქმისადმი ზერელე, აგდებული დამოკიდებულება იგრძნობა ყოველ ნაბიჯზე. ეს არის მათი ყოველდღიური საქმიანობის შედეგი. ამიტომაცაა, რომ ამ ბოლო წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების რებილიტაციისათვის მეზობელი თურქეთიდან მოიწვიეს ხელოსნები. შეგიძლიათ ნახოთ მათი ნამუშევრები, მრავალსართულიანი სახლების ფასადები ნამდვილად მოსაწონი და ხარისხიანია. ნუთუ ამ დონის ხელოსნები სანთლით საძებნი უნდა გვყავდეს.

დიდი მოცულობის სამუშაოები მიმდინარეობს კოსტავას სახელობის პარკში, შესრულებული სამუშაოების ხარისხზე ჯერჯერობით ლაპარაკი შეუძლებელია, მაგრამ აქ დასაქმებულ ადამიანებს რომ აკლიათ ენთუზიაზმი, მინდობილი საქმის დროულად და ხარისხიანად დამთავრების სურვილი, ეს ნამდვილად სახეზეა. ხშირად უსაქმოდ რომ არიან ჩამომსხდარნი და სიგარეტს აბოლებენ ამის მომსწრენი არაერთხელ ვყოფილვართ.

მერედა, განა ასეთუ მცონარეობით ავაშენებთ თავისუფალ, ბედნიერი მომავლის საქართველოს? დღის წესრიგშია მაღალი პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა, საშემსრულებლო დისციპლინის მტკიცედ დაცვა ყველგან და ყველაფერში. ეს უნდა იყოს თითოეული ჩვენთაგანის ყოველდღიური მოთხოვნილების საზრუნავი.

რასაც ავაშენებთ, თუ გავაკეთებთ, ის უნდა იყოს უმაღლესი სტანდარტების დონეზე შესრულებული. დაპროექტებიდან და ხარჯთაღრიცხვიდან დაწესებული მაღალკვალიფიციური ინჟინრებით და ხელოსნებით დამთავრებული. ამ ადამიანებს უნდა ემაყებოდეთ თავიანთი შექმნილ-აშენებული, ისინი ხომ მშობლიური ქალაქის მომავლის შემოქმედნი, ღირსეული კირთოხურონი არია. სამწუხაროდ, მათი გაკეთებული სადღეოსოდ ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ბორჯომს დღესაც ამშვენებს 100-120 წლის წინათ აშენებული შენობები (რომანოვის სასახლე, ფირუზა, მუსიკალური სკოლა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ა.შ.), ნუთუ აღარ გვყავს პროფესიონალი: არქიტექტორები, კელითსინდისიერი მშენებლები და ხელოსნები. კრიტიკას ვერ უძლებს ლიკანში პროფსასწავლებლის მშენებლობაზე დასაქმებული მშენებელთა კვალიფიკაცია, ასეა სხვაგანაც. არაერთხელ გვსმენია, ცუდად აშენებულ-გაკეთებულს საერთოდ რომ არ ააშენო, ის ჯობია.

მართლაც „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“, სიბნელეს, უხარისხობას, უპასუხისმგებლობას, დაბალ კვალიფიკაციას, ნეპოტიზმს, უსაქმურობას, ზერელობას ვებრძოლოთ ყველგან და ყველაფერში. თუ გვინდა ევროკავშირში დამკვიდრება, სწორედ ამ ნაკლოვანებების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, დასკვნები გამოვიტანოთ და სასიკეთოდ გარდავქმნათ მუშაობა.

**ვალერიან ლომიძე.**

ფიქრები ხმამაღლა

# ხალხს კი მშვიდობა სწყურია...

**24 ოქტომბერს** რვა თვე გასრულდა უკრაინაში ომის დაწყებიდან. 280 დღე-ღამეზე მეტია ევროპის უდიდეს და ულამაზეს ქვეყანაში ცვივა ბომბები, ინგრევა ქალაქები და სოფლები, იხოცებიან ადამიანები. დახოცილებს შორის უამრავი უდანაშაულო ქალი და ბავშვია. სიცოცხლეჩამქრალი ბავშვების რაოდენობამ 400-ს გადააჭარბა. კაბინეტებში მოკალათებული ჰალსტუხიანი, ცივსისხლიანი, ნიღაბმორგებული თუ უნიღბო მკვლელების ავ ზრახვებს ეწირებიან ორივე მხრიდან „საზარბაზნე ხორცად“ ქცეული ჯარისკაცებიც. მათმა რიცხვმა დიდი ხანია 100 ათასს გადააჭარბა.

მსოფლიოში დიდზე დიდ უმრავლესობას არ უნდა ომი და ეს ერთი „მუჭისანი“ იმარჯვებენ, რადგან მათ ხელშია ძალა და იარაღი.

ვამპირული სისხლის წყურვილი და მგლური მადა ზეიმობს და სიკვდილი დაქრის უკრაინის ველებზე.

ასე ყოფილა დასაბამიდან. რაც კაცობრიობა არსებობს, მხოლოდ 17 დღე-ღამე იყო მშვიდობიანი დედამიწაზე. დანარჩენ დღეებში „დიდნი“ და „პატარანი“ ომობდნენ, ერთმანეთს ხოცავდნენ, კლავდნენ, სისხლს ღვრიდნენ...

კეთილმა აზრმა და ნებამ ვერა და ვერ გაიმარჯვა.

არადა, თითქოს ცივილიზებულები ვართ, ტელევიზორის ეკრანებიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი დედამიწა, ხალხები (სახელმწიფოები) ახლა უფრო ადვილად ამყარებენ ერთმანეთთან კავშირ-ურთიერთობას, მაგრამ არა, ჯერჯერობით ბნელ და ეშმაკისეული მაინც იმარჯვებს ღვთაებრივ-ადამიანურზე...

კეთილი ნების ადამიანების ტვინში და გულში კი სულ იხარშება კითხვები: **„რატომ? რისთვის? როდემდე?...**

სამწუხაროდ, კაცთა კვლის უჩინარი საფუძველი კუჭის „რეფლექსებიდან“ წამოსული ადამიანის სულის ეგოისტური საწყისებიდან მომდინარეობს: მავანს უნდა, სხვაზე მეტი იყოს, უკეთესი, მდიდარი, გამორჩეული, ყველაფრით უზრუნველყოფილი, გამძლარი... საზოგადოება ოდითგანვე დაიყო მდიდრებად და ღარიბებად და აგერ, XXI საუკუნეში, მსოფლიოში მილიონერთა რაოდენობამ 100 მილიონს გადააჭარბა. თანაც მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ღარიბები უფრო ღარიბდებიან და ამ დროს უამრავ ქვეყანაში მილიონობით ბავშვი შიმშილობს...

რაც ადამიანი გაჩნდა, საბრძოლო იარაღს აუმჯობესებს და აუმჯობესებს და მშვილდისრიდან დაწყებული ატომურ ბომბამდე მიაღწია. კაცობრიობამ თავისი დასამარების იარაღი გამოიგონა („თაგვმა თხარა, თხარაო“...). რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე მთელ მსოფლიოში მეტად საშიში ატომური ომის გაჩაღების მუქარები გაისმის. ღმერთმა დაგვიფაროს!

ერთხელ უკვე დაგვიფარა ღმერთმა! ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირზე, (რომლის შემადგენლობაში საქართველოც იყო) 4 წლით ადრე გამოიგონა ატომური ბომბი. 1945 წელს პოსტდამის კონფერენციაზე ამერიკის ახლადდანიშნულმა პრეზიდენტმა ტრუმენმა სტალინს „მიახალა“: - ატომური ბომბი შევქმენითო. აინტერესებდათ სტალინის რეაქცია. სტალინმა გარეგნულად (სახეზე) არაფერი შეიმჩნია, მაგრამ გულში ატომური ბომბის სასწრაფოდ შექმნა გადაწყვიტა. მალე 6 და 9 აგვისტოს იაპონიაში ატომური ბომბების ჩამოგდებამ შეიწირა 100 ათასობით ადამიანი... 1945 წლიდან „ცივი ომი“ გაჩაღდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამერიკელმა ჟურნალისტმა სტალინს ჰკითხა - „არ გეშინიათ ატომური ბომბის, რომელიც თქვენს „მოწინააღმდეგე“ ამერიკას აქვს?“ პასუხი იყო: „არ გვეშინია, რადგან თვით ამერიკის და მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება დარაზმული გვყავს, რათა ატომური ომი არ დაიწყოს“. არადა, ამერიკაში უკვე იგეგმებოდა საბჭოთა კავშირის ჯერ 25 დიდი ქალაქის (მათ შორის, თბილისის), შემდეგ 200 ქალაქის დაბომბვა. **რა აჩერებდა ამერიკას? როგორც შემდეგ გამოირკვა, ამერიკელი კომუნისტების თაოსნობით საღი აზრის მთელი ამერიკული საზოგადოება ზეწოლას ახდენდა „თეთრ სახლზე,** რათა ომი არ დაწყებულიყო. 1949 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა სემიპალატინსკში მიწისქვეშა პირველი ატომური ბომბი გამოსცადა, სტალინმა შვებით ამოისუნთქა და თქვა: „ახლა უკვე გადავრჩით!“. ასევე იყო 1962 წელსაც, როდესაც სულელმა ხრუშჩოვმა ე.წ. „კარიბის ზღვის კრიზისი“ გამოიწვია და დედამიწა გადაურჩა ატომურ ხანძარს.

მართალია, ამჟამად თითქმის მთელ მსოფლიოში უარყოფილია მარქსიზმი, მაგრამ იქ იყო ერთი მართებული დებულება: კაპიტალიზმი და მისი უმაღლესი სტადია იმპერიალიზმი თავისი არსით მსოფლიოში ომების გამჩაღებელია და **მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება დრო და დრო მოხდებაო.** განა რუსული და ამერიკულ-ევროპული იმპერიალიზმი უკრაინის ბარაქიანი და წიაღისეულით მდიდარი მიწების ხელში ჩაგდებისთვის და ამ რეგიონში მიწების ხელახალი გადანაწილებისათვის არ იბრძვიან?

უკრაინის ნაყოფიერი მიწების 22 მილიონი ჰექტარი დიდი ხანია შესყიდული აქვთ ამერიკა-ევროპელ ბიზნესმენებს. ახლახან გაჟღერდა ინფორმაცია, რომ 16 მილიონი ჰექტარი შეისყიდეს ისრაელმა ბიზნესმენებმა. ვინ დათმობს თავის მიწებს? ამიტომ არის, რომ ომი ძალზე გაიწელა და შესაძლოა, რამდენიმე წელი კიდევ გაგრძელდეს. ამ ომის გარშემო მსოფლიო, ფაქტიურად, ორად არის გაყოფილი: ერთ მხარეს - ამერიკა-ევროკავშირი, მეორე მხარეს - რუსეთი, ჩინეთი, ირანი, ინდოეთი და აზიის მთელი რიგი სახელმწიფოები.



ამას წინათ ძალზე მესიამოვნა ერთ-ერთ ჩვენს რესპუბლიკურ გაზეთში ამოკითხული ბელარუსიის პრეზიდენტის **ალექსანდრე ლუკაშენკოს** ნათქვამი: **„ომი ყოველთვის ცუდია, ყოველდღე ხალხი კვდება... მოდით, ომი შევაჩეროთ და შემდეგ გავარკვევთ, ვინ არის მართალი და ვინ - დამნაშავე“.**

ასეთი კეთილი და კარგი სიტყვა არ მომისმენია სხვა ევროპული სახელმწიფოების პრეზიდენტებისაგან, არც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯო ბაიდენისაგან. პირიქით, პუტინის ბირთვული იარაღის გამოყენების დამაშანტაჟებელ მუქარას დიდძალი იარაღის გამოგზავნით და ახალი სანქციების დაწესებით პასუხობენ. არადა, საკმარისია ჯო ბაიდენმა ერთი თქვას, ომი საკმარისია, მოლაპარაკების მაგიდასთან დავსხდეთო, რომ მაშინვე ომი დამთავრდება. მაგრამ ასე არ ფიქრობენ მისი და სხვა ქვეყნების იმპერიალისტები. მათ ამ ომით ეკონომიკის სფეროში მხოლოდ მოგების ნახვა სურთ (მილიარდობით მოგება უკვე ნახეს) და ადამიანების ხოცვა-ჟლეტვა მათ ფეხებზე ჰკიდიათ.

უბრალო ხალხებს კი მთელ მსოფლიოში და, კერძოდ, საქართველოში, მშვიდობა გვწყურია და არ გვინდა ომი! საქართველოს ხელისუფლება **ირაკლი ღარიბაშვილის** თავკაცობით ჯერჯერობით წარმატებით ახერხებს მშვიდობის დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი შინაური თუ გარეშე მტერი ცდილობს საქართველოს რუსეთ-უკრაინის ომში ჩართვას. ქვეყნის შინაურ თუ გარეშე მტრებს განსაკუთრებული ძალისხმევით ებრძვის „ქართული ოცნების“ წიაღიდან წარმოშობილი და საზოგადოებრივ მოძრაობად ჩამოყალიბებული „ხალხის ძალის“ წარმომადგენლები.

სამუდამოდ გულში მაქვს ჩარჩენილი **ირაკლი აბაშიძის** სტრიქონები; **„სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე, მაშ, იამაყე, მაშ, განიცადე!“**. რა კარგი იქნებოდა, ამ სტრიქონების მსგავსი შინაარსი დატრიალდებოდეს ომში მონაწილე სახელმწიფოების ხელმძღვანელების გულში და გონებაში და შეაჩერებდნენ ამ უაზრო სისხლისღვრას და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას!...

**უჩა ჯანგირაშვილი.**

# მიხარია, რომ ბორჯომში ჩემ ხალხს ვუყვარებივარ!



**პაატე (პალიკო) ნოზაძე 60 წელია სცენაზეა და დღესაც აქტიურია. მისი პროფესიული კარიერა ბორჯომის სახალხო თეატრში დაიწყო. სხვადასხვა დროს მუშაობდა მეტეხის, სანდრო ახმეტელის, ქართული ნოველის თეატრებში, პარალელურად იყო როლები ფილმებშიც. ბოლო რამდენიმე წელია მისი ნახვა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზეა შესაძლებელი. თუმცა, მისი პირადი სურვილითა და ინიციატივით, რამდენიმე მინისპექტაკლით, თითქმის მთელი საქართველო აქვს მოვლილი. ამა თუ იმ რეგიონსა და სოფელში ერთი მსახიობის თეატრის წარმოდგენით ცდილობს ხელოვნებას მონატრებული მაყურებელი თეატრთან დააახლოოს. ახლახან „ბორჯომობა 2022“-ზე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, პაატე ნოზაძეს ამავე ქალაქის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. საუბარიც ამ ქალაქ-კურორტის შესახებ დავიწყეთ...**

– ქვიშხეთში, სავანესუბანში მამაპაპისეული მამული მაქვს. რამდენიმე დღე, როცა სპექტაკლებისგან თავისუფალი ვარ, სოფელში ჩავდივარ და მერე ისევ თბილისში ვბრუნდები. თბილისიდან სავანესუბნამდე დაახლოებით საათი და 20 წუთის სავალია და ამიტომ ხშირად მივდი-მოვდივარ. ჩემი ოჯახი ბორჯომში, სავანესუბანში კი ბებია-ბაბუა ცხოვრობდა. ბავშვობაში ხან ბორჯომში ვიყავი, ხან მათთან...

ბორჯომი ჩემი ქალაქია, იქ დავამთავრე სკოლა, სატყეო ტექნიკუმი და იქვე დავიწყე თეატრში მუშაობა. პირველად იქ დავდექ სცენაზე, სადაც უაღრესად განათლებულმა ინტელიგენტმა, შორსმჭვრეტელმა და ჭკვიანმა რეჟისორმა გიორგი ხმალაძემ ამიყვანა. მისგან 10 წლის განმავლობაში უამრავი რამ ვისწავლე და ხელოვნებისკენ გზა მან გამიკვალა... იმ წლებიდან ყველაზე მეტად რა მენატრება?! ბორჯომი ჩემთვის ყოველთვის სანატრელი ადგილი იყო და არის დღესაც. 1982 წელს გერმანიაში გასტროლზე ვიყავით, წაღებული გვქონდა სპექტაკლები „შვეიკი“ და „დიდრო“, რომლებმაც ტრიუმფალური გამარჯვებით ჩაიარა. ერთ დღეს, საუბრისას მკითხეს, გერმანიაში ცხოვრებას არ ისურვებდითო?! ვუპასუხე, რომ არა, რადგან ბორჯომში ვარ დაბადებული, გაზრდილი და ის ადგილი ყველაფერს მირჩევნია-მეთქი. გაგიჟდნენ, – ეს ისაა, სადაც ბორჯომის წყალი მოედინება, მაგ ადგილის ნახვას ჩვენც ვნატრობთო!.. ეს დიალოგი საარბრიუკენის ობერბურგომისტრის ოსკარ ლაფონტენის ოჯახში ხდებოდა, სადაც საჩუქრად გადმომცეს საათი და ბროლის ფუჟერი, რომლის ძირზე ელისაბედ მეორეს ოქროს მონეტაა ჩასმული... ასე რომ, ბორჯომი ჩემთვის ყველაფერია. 75 წლის კაცი ვარ, აქედან 60 წელია სცენაზე ვდგავარ. მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ ჩემი ვარსკვლავია გახსნილი, უამრავი ჯილდო მაქვს, ვარ საქართველოს დამსახურებული არტისტი, კოტე მარჯანიშვილის, ნოდარ დუმბაძის, უშანგი ჩხეიძის, შალვა დადიანის პრემიების ლაურეატი, მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი და ახლა მათ რიცხვს კიდევ ერთი დაფასება, ბორჯომის საპატიო მოქალაქის ტიტულიც შეემატა, რაც ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ადრეც მიგრძვნია ეს და ახლა ორმაგად დავინახე, რომ ჩემს ხალხს ბორჯომში ძალიან ვუყვარებივარ და არა მარტო ამ ქალაქში, მთელ საქართველოში (ხმა გაებზარა – ავტ).

● **გული აგიჩუყდათ. ზოგადად, ძალიან გულჩვილი ადამიან ხართ. კიდევ რამ შეიძლება ასეთ განწყობაზე დაგაყენოთ?**

– იცით, გული ბევრ რამეზე მწყდება, მაგრამ ერთ ფაქტზე განსაკუთრებით: ჩვენი თანამემამულეების დიდი რაოდენობა საზღვარგარეთ არის გასული. მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც ერს არცხვენენ. ამას წინათ ვნახე, რომ ერთ-ერთ ქვეყანაში დააკავეს ძარცვაში ეჭვმიტანილი ქართველები. ეს გულს ძალიან მტკენს. ჩვენი კულტურის პატრონს, შოთა რუსთაველის წიგნზე გაზრდილ ხალხს ეს არ ეკადრება. ჩვენ რომ საზღვარგარეთ გავდიოდით, სულ იმას ვფიქრობდით, ერი როგორ წარმოგვეჩინა. რასაკვირველია, ახლაც არიან ასეთები, მეცნიერებაში იქნება ეს თუ ხელოვნების სფეროში წარმატებული და პატივსაცემი პიროვნებები, მაგრამ იმდენად მრავალრიცხოვანი გახდა ჩვენი ხალხის ქვეყნიდან გადინება, რომ ეროვნულობის შეგრძნებამ და სამშობლოს განცდამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. ასევე ძალიან მაღელვებს ომი უკრაინაში. ყოველდღე ვლოცულობ, რომ დასრულდეს, გამწარებულმა და გაუბედურებულმა ხალხმა ამოისუნთქოს... პატარა ბიჭი ვიყავი, 16-17 წლის, როცა ბორჯომელი, მეორე მსოფლიო ომის გმირის ერონის ინაურის როლი ვითამაშე, ის კარპატებში იბრძოდა და საკუთარი სიცოცხლის ფასად, დანაღმულ ტერიტორიაზე გაიარა და ამ გზით თავის ბატალიონს გზა გაუხსნა. მანამდე ერონისის მამა და ძმა ფრონტზე დაიღუპნენ, თავად კი მოხალისედ წავიდა, ბრძოლის დროს სამჯერ დაიჭრა. მესამედ დაჭრილი საქართველოში, ჰოსპიტალში დააწვინეს. დედამ რომ მოინახულა, შვილს სთხოვა, ყველა დაიღუპა და იქნებ კარგად რომ გახდები, ფრონტზე აღარ წახვიდეო, მაგრამ მან იაუარა: დედა ლოცავს, ნურც დაგავიწყოს სამშობლოს სიყვარული შვილო, დამილოცნიხარო...

ამ როლმა გზა გამიკაფა, არა მხოლოდ ჩემს პროფესიაში, არამედ ცხოვრებაშიც. ამ სპექტაკლს ერონის ინაურის დედა დაესწრო და წარმოდგენის შემდეგ გულში ჩამიკრა, თავისი შვილის სახელს მეძახდა. ეს ჩემთვის ძალიან ემოციური იყო.

ბორჯომის რკინიგზის №6 სკოლაში, სადაც ერონის ინაური სწავლობდა, მისი ბიუსტი იდგა. როცა იქ ჩავდიოდი, ბიუსტს მოვინახულებდი და ყვავილები მიმქონდა. რამდენიმე წლის წინ, ძეგლი აღარ დამხვდა, რაც ძალიან მეწყინა. არ ვიცი, ეს რატომ მოხდა და რა დავარქვა ამ ფაქტს. ერონისის ძეგლი კარპატებშიც იდგა, მაგრამ ახლა იქ ომია და შეიძლება, როგორც ბევრი სხვა რამ, ეს ძეგლიც აღარ არსებობს. ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ ადამიანები ვაჟკაცურ ტრადიციებზე იზრდებოდნენ, ღირსებისა და სამშობლოს ცნება უმთავრესი იყო, რაც სამწუხაროდ, დღესდღეობით ნაკლებად იკვეთება.

● **წლების განმავლობაში, სხვადასხვა ავტორის არაერთ პატრიოტული შინაარსის სპექტაკლში გაქვთ მონაწილეობა მიღებული. ამ თვალ საზრისით, თქვენთვის ყველაზე ემოციური და ძვირფასი რომელია?**

– საერთოდ, სცენაზე ემოციური მსახიობი ვარ. სპექტაკლს რომ ვთამაშობ იმ დონეზე და მთელი განცდით, როგორც საჭიროა, იმ ღამეს გული ცოტა მაწუხებს. ხანდახან ჩემს თავს ველაპარაკები, თითქოს რაღაცას ვაფრთხილებ, მაგრამ რა ვქნა?! თეატრი ძალიან მიყვარს. ამ გრძნობის გარეშე თეატრში ყოფნა წარმოუდგენელია. ჩემს მსახიობ შვილს, ვახოსაც ამას ვეუბნები და შვილიშვილსაც ეს ვუთხარი, როცა ჯავახიშვილიდან თეატრალურში გადასვლას ფიქრობდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, როცა ამ პროფესიისთვის დამახასიათებელ სირთულეებზე ველაპარაკე... რაც შეეხება თქვენს კითხვას, მართლაც ბევრ პატრიოტული შინაარსის სპექტაკლში, საინტერესო და მნიშვნელოვანი როლი მითამაშია, მაგრამ ის, რაც ერონის ინაურზე მოვყევი, ჩემთვის პირველია. თითქოს იმ ახალგაზრდა კაცის პატრიოტული სულისკვეთება, სამშობლოს სიყვარული მეც გადმომეცა და ამ სპექტაკლმა, რომელსაც „ჩაუქრობელი ვარსკვლავი“ ერქვა, თითქოს რაღაც შემოანგრია ჩემში. გიორგი ხმალაძის ამ სპექტაკლში ნათამაშები როლისთვის, პატარა ბიჭს მომენიჭა საკავშირო ფესტივალის ლაურეატის საპატიო წოდება და ოქროს მედალი. მას შემდეგ, ჩემი ერის, ხალხისა და სამშობლოს სიყვარული თან მომყვება და ასე ვზრდიდი ჩემს შვილებსაც, ოჯახშიც ასეთივე შეხედულებებით ვცხოვრობთ და ამ გზას არ ვუღალატებთ. 55 წელი გახდება, რაც მე და ჩემი მეუღლე დაოჯახებულები ვართ. მყავს ორი შვილი, ვახტანგი მსახიობია. ეკატერინემაც თეატრალური დაამთავრა და მოცეკვავეა. ხუთი შვილიშვილის და ორი შვილთაშვილის ბაბუა ვარ, ახლა მესამე შვილთაშვილს ველოდებით.

– მადლობა მინდა გადავუხადო მთელ ჩემს ქვეყანას და ხალხს, ვინც გვერდში მიდგას, ტაშს მიკრავს. სადაც მივდივარ, ყოველთვის პატივისცემით მხვდებიან. მე ამ ქვეყნის ერთი პატარა ნაწილი ვარ, რომელიც სანთელს ვანთებ და უფალს ვთხოვ, მსოფლიოში ომები მორჩეს და ჩემი ერი, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა კარგად იყოს, წინ მუდამ გამარჯვებით გვევლოს.

**ანა კალანდაძე,**

**ჟურნალი „გზა“ №41, 13-19 ოქტომბერი, 2022წ.**

# სამედიცინო მომსახურების დაფინანსების რეფორმა ძალაში შევიდა

**ჯანდაცვის** სამინისტროს ინფორმაციით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ კლინიკებთან ანგარიშსწორება დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების მოდელით მოხდება. სისტემით, ავტომატურად გამოითვლება ის სამართლიანი ფასი, რასაც სახელმწიფო, მოქალაქეების ხარისხიანი მკურნალობისთვის გადაიხდის.

**„როგორც ჯანდაცვის მინისტრი, ზურაბ აზარაშვილი აცხადებს, სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ჯანმრთელობაზე და აქტიურად მუშაობს, რათა სამედიცინო სერვისები გახდეს კიდევ უფრო ხელმისაწვდომი და ხარისხიანი. ახალი მეთოდის დანერგვის შემდეგ, ერთსა და იმავე მომსახურებას, ყველა კლინიკაში, ერთი ტარიფი ექნება. პაციენტი მხოლოდ იმ თანხას გადაიხდის, რასაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თანაგადახდის წილი (0-დან 30%-მდე, პაკეტების შესაბამისად) ითვალისწინებს. კლინიკა კი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ პაციენტს, დამატებით გადასახადს ველარ დაუწესებს. ჯანდაცვის მინისტრი აღნიშნავს, რომ უწყება თანაგადახდის ნაწილსა და მიწოდებული მომსახურების ხარისხს მკაცრად გააკონტროლებს.**

**DQG, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, დაფინანსების ფართოდ აპრობირებული მოდელია. ახალი სისტემით დაფინანსების მოცულობას პაციენტის დიაგნოზი, ასაკი, ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა და სხვა კრიტერიუმები განსაზღვრავს. მეთოდი მთლიანად აუმჯობესებს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობას და იძლევა საშუალებას, რომ ფინანსური რესურსი, რაც აქვს ჯანდაცვის სისტემას, მეტად მოხმარდეს პაციენტის საჭიროებებს“,** – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მაღალმთიან სოფლებში ტელემედიცინა ინერგება

**17-21 ოქტომბერს** შვედეთში, ქალაქ სტოკჰოლმში ჩატარდა ჯანმრთელო**ბის მსოფლიო ორგანიზაციის პირველადი ჯანდაცვის სადემონსტრაციო პლატფორმა. საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელიც მიწვეული იყო ამ ფორმატით გათვალისწინებულ ღონისძიებებში. ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, ქალბატონი თამარ გაბუნია, სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ქალბატონი გვანცა გასვიანი, სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ხელმძღვანელი ბატონი მინდია ღლონტი, ჯანდაცვის ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენელი, ბატონი გელა ქარსელაძე,** მაღალმთიანი სოფ**ლის ორი ექიმი, მათ შორის წაღვერის უბნის ექიმი, ქალბატონი ნანა ბრძელიძე და ჯანმოს საქართველოს ოფისის წარმომადგენელი.**



პლატფორმის ხუთდღიანი მუშაობის ფარგლებში ქართული მხარე გაეცნო შვედეთის პირველადი ჯანდაცვის სტრუქტურას, რეფორმის ეტაპებს, სამედიცინო განათლების საფეხურებს, ციფრულ ტექნოლოგიებს პირველად ჯანდაცვაში. ქართველი დელეგატები იმყოფებოდნენ სამხრეთ ლაპლანდიაში, სადაც დაათვალიერეს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებები. მიიღეს დეტალური ინფორმაცია თუ, როგორ მუშაობს ციფრული საშუალებები პირველად ჯანდაცვაში. გაეცვნენ ტელემედიცინის წარმატებულ პროექტს მაღალმთიან რეგიონებში.

ჩვენთან საუბარში წაღვერის უბნის ექიმი, გულისხმიერი, პროფესიონალი, ქალბატონი **ნანა ბრძელიძე** გვიყვება დეტალურად: – საქართველოში დღეს შერჩეულია 50 სოფელი, სადაც დამონტაჟდა ტელემედიცინის აპარატურა: პორტატული ეკგ, ოტოსკოპი, ოფთალმოსკოპი, დერმოსკოპი. ამ აპარატურით და შესაბამისი ელექტრონული პლატფორმით, სოფლის მოსახლეობას საშუალება ეძლევა რაიონულ ცენტრში ჩასვლის გარეშე, დისტანციურად მიიღოს შესაბამისი ექიმ-სპეციალისტის მომსახურება, ჩაიტაროს სადიაგნოსტიკო მინი-ლაბორატორიული ტესტები. ამ ეტაპზე უკვე ამუშავებულია კარდიოლოგიური სერვისი, რომლის საშუალებით პაციენტის ჩართვა ხორციელდება დედაქალაქის სამედიცინო ცენტრის კარდიოლოგთან. უახლოეს დღეებში ემატება სრული მომსახურების პაკეტი. წაღვერის სამედიცინო უბანი ერთ-ერთი პირველია, სადაც მოხდა ამ პროექტის დანერგვა. გამოიყო დღეები, როდესაც წაღვერის ადმინისტრაციულ ერთეულთან მიბმულ სოფლის მოსახლეობას საშუალება მიეცემა მიიღონ ექიმ-სპეციალისტების, ამ ეტაპზე – კარდიოლოგის – დისტანციური მომსახურება სატესტო რეჟიმში. შვედეთში ვიზიტისას მიღებული გამოცდილება საუკეთესო საშუალება ფართოდ იქნას დანერგილი ტელემედიცინა და ახალი ტექნოლოგიები პირველად ჯანდაცვაში მოსახლეობის სამედიცინო მომსახრების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით. შვედური მოდელის საქართველოში დანერგვა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად, მოითხოვს მედპერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, როგორც პროფესიული კუთხით, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების დაუფლების თვალსაზრისით. მზაობა ქართული მხრიდან დიდია. ევროპელი მეგობრების და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხელშეწყობით, იმედია, საქართველოს ძალიან მალე ეყოლება პირველადი ჯანდაცვის საუკეთესო რგოლი.

**მონიკა ჭანტურია**

# პრობლემების კვალდაკვალ

## პირადულ მოგებაზე აწყობილი ბიზნესი

**სოციალურ** ქსელში გავრცელდა საქართველოს მოქალაქის გიორგი გოგინაშვილის პოსტი, რომელსაც თან ახლავს ფოტოსურათი, სადაც დახლებზე დალაგებული ტკბილეულია განთავსებული. ფოტოს ახლავს ტექსტიც, რომელსაც მკითხველებს უცვლელად ვთავაზობთ: **–„ერთი კვირის წინ გადავიღე გერმანიაში, ფრანკფურტში იმის ფასები, რაც უცბად თვალში მომხვდა და მეიაფა, გვერდით დავუდე გუშინ გადაღებული საქართველოს ფასები. გინდ იმათი გადაიყვანეთ ლარში, გინდ ჩვენი ევროში, გინდ ხელფასები შეადარეთ, მგონი კატასტროფა გვაქვს. ევროპა გარყვნილებაა, ფასებიც კი რა გარყვნილი აქვთ.“**

თვალსაჩინოებისათვის აქვე დავწერ იმ პროდუქტების, მედიკამენტებისა და თავის მოვლის საშუალებების ფასებს ფრანკფურტის მაღაზიის და საქართველოს დახლებზე რომ იყიდება და რომლის შესახებაც ბატონმა გიორგიმ დაწერა. მაგალითად შოკოლადი „ფერერო როშე“ გერმანიაში ღირს 3.79ევრო, ჩვენთან 26.50ლარი, „რაფაელო“-2.59ევრო, -12.99 ლარი, „მილკა“-2.99ევრო-1199 ლარი, „რაიტერ სპორტი“ -129, ევრო-10.10ლარი, მამაკაცის ანტიპერსპირანტი „ნივეა მენ“-2.45 ევრო-10.60 ლარი, მამაკაცის შამპუნი „ნივეა“-1.85ევრო-18.35ლარი, კიტრის მარინადი-149 ევრო-6.35ლარი. მედიკამენტი „ომეგა3“ (ტეტქსევტი) - 5.79ევრო, ჩვენთან-44.78 ლარი.



ზემოთ აღნიშნული პროდუქტები კი მინდა გითხრათ, რომ ძალიან მცირედი ჩამონათვალია, რომლის შედარებაც პოსტის ავტორმა შეძლო, რომ მკითხველებისათვის გაეზიარებინა. ზოგმა შეიძლება არც კი დაიჯეროს, მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინოებისათვის პოსტს ფოტოსურათიც ახლავს თან, თუმცა პირადად ჩემთან რამდენიმე თვის წინ საბერძნეთიდან სტუმრად ქალბატონი იმყოფებოდა, რომელიც 20 წელზე მეტია საბერძნეთში ცხოვრობს და ასევე ხშირად უწევს ხოლმე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა და საუბარში აღნიშნა, რომ პროდუქტებზე თუ თავის მოვლის საშუალებებზე საქართველოში კოშმარული ფასებიაო. ამ წელს მითუმეტეს რომ ჩამოვედი და ფასები შევადარე წინა წლებთან შედარებით თითქმის სამმაგად მომატებული დამხვდა, რომ მცოდნოდა, გარკვეული სახის პროდუქტებს თან წამოვიღებდიო. თანაც, საქართველოში ხელფასი რომ ვიცი, რამდენად მიზერული თანხაცაა და იქაური ევრო რომ ნამდვილად ფასობს და რამდენად დაბალ ფასებში იყიდება პროდუქტები, სწორედ ეს არის ჩემი აღშფოთების მიზეზიცო.

ნამდვილად ვეთანხმები ჩემ სტუმარს და ჩემი მხრიდან იმას დავამატებდი, რომ პროდუქტებზე ფასების ცვალებადობას არათუ ყოველთვიურად ან ყოველკვირეულად, არამედ ყოველდღიურად ვხედავთ. ბორჯომის მასშტაბით ქალაქში სულ რამდენიმე მოზრდილი მარკეტი მუშაობს მხოლოდ და თუკი ყოველდღიურად შეადარებთ ფასებს, ნათლად დაინახავთ, რომ სხვადასხვა მარკეტში ნებისმიერ პროდუქტზე განსხვავებული ფასებია. სახელმწიფოში კი ყველა პროდუქტი ერთი საბაჟოდან შემოდის და ასეთი ფასიც ნუთუ იმდენად მერყეობს, რომ ბევრჯერ სამი, ოთხი, ან ხუთი ლარით მეტად იყიდება გარკვეული სახის პროდუქტები? სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანაში ხელფასები იმ რაოდენობის არაა, რომ მოსახლეობამ კვებისათვის საჭირო თანხა თვიდან თვემდე გამოიზოგოს. მაგალითად, თუ ხუთ სულიან ოჯახს ავიღებთ, რომლის შემოსავალიც ვთქვათ 1500 ლარს შეადგენს, ისიც საშუალო მაჩვენებლის ხელფასია ეს თანხაც, ასეთ ოჯახს საკვები პროდუქტებისთვის, რომელიც ხორცს, თევზეულს, ბოსტნეულს, ხილსა და ტკბილეულს შეადგენს, თანაც ეს ყოველივე ხშირად ყოველდღიურ რაციონში არც კი შედის, ყოველთვიურად დაახლოებით 1000-1100 ლარამდე მაინც ჯდება. რაც შეეხება უკვე ზამთრის პერიოდში კომუნალურ გადასახადებს, მათი ჯამური ღირებულებაც 350-400 ლარს შეადგენს. ფაქტიურად, 1500 ლარიანი ხელფასის მქონე ადამიანს ყოველ თვეში ბოლო თეთრამდე უწევს საკუთარი შემოსავლის დახარჯვა და ამ ხარჯებში სრულიად გაუთვალისწინებელი ან ყოველდღიური ხარჯები აღარ მოიაზრება. საკვები და მედიკამენტები კი ისეთი რამაა, რაც ადამიანის არსებობისთვის უმნიშვნელოვანესია. ვიკვებებით იმის გამო, რომ ვიცოცხლოთ და თუკი შესაბამისად ვერ ახერხებს ადამიანი საკვები პროდუქტის მიღებას, სწორედ ამის შემდეგ იწყება ჯანმრთელობის პრობლემები და შესაბამისად, ადამიანი საჭიროებს მედიკამენტებს. ჰოდა, საკითხავი სწორედ ეგაა, რომ როდესაც სიცოცხლისათვის უმნიშვნელოვანეს რესურსზე, როგორიცაა საკვები და მედიკამენტებია, რატომ უნდა იყოს ამხელა ფასები ისეთ ქვეყანაში, სადაც საშუალო ხელფასი ადამიანს 500 ლარიც კი არ აქვს? მითუმეტეს, ჩვენში უამრავი სოციალურად დაუცველი ადამიანი ცხოვრობს. ამიტომაც, თუკი საერთო ფონს გადავხედავთ, რაც ქვეყნის მასშტაბით ხდება პროდუქტისა თუ მედიკამენტების ბაზარზე, ერთი რამის თქმა შეგვიძლია, რომ აქ ჯანსაღი ბაზარი არ არსებობს და მხოლოდ გარკვეული ინდივიდების პირადულ მოგებებზეა საუბარი, რომელთაც სულ არ ანაღვლებთ არც გაჭირვებული ფენისა და არც საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეობის ბედი.

**ნატო მელიძე**

# ვულოცავთ!



ბორჯომის №3 საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მშვენიერებით გამორჩეული, ქალბატონი **ინა მაჩიტიძე** იუბილარია. 70 წელი არ არის ცოტა, მაგრამ არც ბევრია ადამიანებისთვის. 45 წელზე მეტია, რაც ასწავლის სკოლაში და წესრიგი, დისციპლინა და ყველაფრისადმი ზუსტი დამოკიდებულება – ეს ის თვისებებია, რომელიც გაცნობისთანავე შეიძლება შენიშნოთ მასში. მიუხედავად ასაკისა, დრო ითხოვს, რომ ყველაზე თანამედროვე უნდა იყოს, რადგან დღევანდელ მოსწავლეს გაუგო, მასთან კარგი ურთიერთობა დაამყარო, ეს არაა ადვილი. ყოველთვის მიაჩნდა ქალბატონ ინას, რომ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა მნიშვნელოვანია პედაგოგისთვის. თავისუფალ დროს ყველაფერს ურჩევნია ისაუბროს საყვარელ წიგნებზე: „ანნა კარენინაზე“, „ომსა და მშვიდობაზე“. ძალიან აფასებს ბორჯომს, თუმცა მისი მშობლიური ქალაქი თბილისია. ძნელად თუ მოითვლით ჩვენს ქალაქში ოჯახებს, სადაც თბილისიდან „მოსული“ ქალბატონები მთელი ცხოვრება აქ დამკვიდრებას ირჩევენ. ეს დიდი ალბათობით, განპირობებულია სიყვარულითა და ოჯახური სიმტკიცით, როგორც ეს ბატონი ვალერი გოგოლაძისა და ქალბატონი ინას ოჯახური იდელიიდან იგრძნობა.

ვუსურვოთ მრავალი წელი სიხარულსა და ბედნიერებაში გაეტარებინოთ.

ჩვენი გაზეთის რედაქცია ულოცავს ბანოვან ქალბატონს იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობას, მხნეობას, კიდევ ბევრი წელი მომღიმარ სახესა და უშრეტ ენერგიას.

**მონიკა ჭანტურია**



დიდებულ ქართველს და სამეგობროდ მუდამ შემართულ **მილერი ლომიძეს** ვულოცავთ დაბადების 75 წლისთავს. პიროვნებას, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება, სადაც კი იმუშავა, ყველაგან კეთილსინდისიერი შრომით, თანამშრომელთა უდიდესი სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურა.

ვულოცავთ სიჭარმაგის წლებს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან, შვილებთან და მეგობრებთან ერთად.

პატივისცემით **თემურ ხუხუნაიშვილი, ვალერი გოგოლაძე, ვალერიან ლომიძე.**



ბაკურიანის სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, **აკაკი ედიშერაშვილს** 90 წელი შეუსრულდა. ამ შესანიშნავ პიროვნებას, ღირსეულ და პატივსაცემ ადამიანს, ყურადღებიან მეუღლეს, მამას და ბაბუას ვულოცავთ იუბილეს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

პატივისცემით და სიყვარულით **ბაკურიანის საჯარო სკოლის პედკოლექტივი**

## პოეზიის კუთხე

# ნუ მეთამაშები...



ილბალო, თუ ჩემს დაცინვას ცდილობ,
იმდენად არ დამამცირო,
ქუჩაში საქმეზე გასული,
მტრის თვალწინ არ წამაქციო.
ვისაც ჩემი ცრემლიახარებს,
მის თვალწინ არ ამატირო,
შეგირცხვეს ნამუსი,თუ ჯინაზე,
გულიანად არ გამაცინო.
სხვის კარზე მეგობრად მისული,
ჭიშკრიდან არ გამაქციო,
ლუკმა პურის ლაზათი არ მომაკლო,
ჭერი თავზე არ დამაქციო.
სადაც სიძულვილი ბატონობს,
მის ახლოს არ გამატარო,
შვების და სიხარულის მოლოდინში,
დარდი თან არ გამატანო.
ისე არ გამიმეტო,რომ მსხვერპლი,
მადლად არ გამაღებინო,
შარს არ გადამყარო და სირცხვილზე,
ხელი არ ამაღებინო.
ისე არ დამჯაბნო დარდით და
მწუხარებით, ლექსი არ დამაწერინო,
ვინც ჩემი ხელიდან შენდობის ღირსია,
ჭიქა არ წამაქცევინო.
ჯიბრზე,აგდებით და დაცინვით,
თუ იმქვეყნად გინდა მისტუმრო,
ვინც ჩემ ცუდს მოუთმენლად ელის,
მასზე წინ არ გამისტუმრო.
თუ თვლი,რომ მომერიე და შენს ხელში,
სიცოცხლე,წვალებად არ ღირდა,
სადმე, მივარდნილ ადგილზე ჩუმად,
მატირე რამდენიც გინდა.
. . .
თუ არ გინდა შენს
საყვედურს გადამყოლო,
სიყვარული გულში დარდად,
არ ჩამაყოლო.

**იზო სარალიძე**

### ჭადრაკი

# საჭადრაკო პირველობის ფესტივალი ვალეში

**28-30 ოქტომბერს ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში ჩატარდა „საჭადრაკო ფესტივალი – 2022“,** რომელშიც მონაწილეობდა 7-დან 17 წლამდე ასაკის საქართველოს 500-ზე მეტი მოსწავლე-მოჭადრაკე. მასში მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის სპორტსკოლის მოსწავლეებმაც.

თავიდანვე ვიცოდით, რომ ბრძოლა საპრიზო ადგილებისათვის უშეღავათოდ გამწვავდებოდა, რადგან ფესტივალში მონაწილეობდა საქართველოს ყველა წარმატებული მოზარდი მოჭადრაკე, მათ შორის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები. მათ შორის იყო ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი, საქართველოს ორგზის ჩემპიონი, თბილისის ჩემპიონი და ბათუმის ფესტივალის გამარჯვებული **ბარბარე შონია.** თითოეულ მოჭადრაკეს ეძლეოდა 25 წუთი. ბრძოლა შვეიცარიული სისტემით გაიმართა;

აღმოჩნდა, რომ ამჯერად 25 წუთი ბარბარესთვის საკმარისი დრო არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ სამ პარტიაში ბრძოლა გამარჯვებამდე მიეყვანა. სამივე მოსაგებ პოზიციაში ალამი ჩამოუვარდა. თანაც 9 წლის ბარბარე 10 წლიანებსაც ეთამაშებოდა. ბუნებრივია, ბარბარე საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა. სამაგიეროდ, ამ ასაკში წარმატებას მიაღწია ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მეოთხეკლასელმა 9 წლის **თეა რუსიტაშვილმა.** მისი შედეგი (7 პარტიიდან 4 ქულა) სამცხე-ჯავახეთის მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტის მოჭადრაკეებს შორის საუკეთესო იყო. ასევე 15 წლის ასაკში სამცხე-ჯავახეთის მასშტაბით პირველი იყო ბორჯომის №3 სკოლის მოსწავლე **გიორგი მესხი** და ბორჯომის №1 სკოლის მოსწავლე **მარიამ თურქაძე.**

აღნიშნული ფესტივალი ყოველ წელს გაიმართება.

**უშანგი ჯანგირაშვილი**
**მწვრთნელი.**

# მენდემა, თუმცა არ მშვენდემა!

**ბორჯომში,** ცენტრალური მაგისტრალის ნაპირებთან ხუთ, ოთხ, სამსართულიან სასტუმროთა სიმრავლე დღითიდღე თვალშისაცემი ხდება და ტურისტულ ქალაქს, არა თუ ამშვენებს, ამახინჯებს ქალაქის იერსახეს, სასტუმროების აშენების მსურველები და ნებართვის გამცემების ძიება ისევ და ისევ პოლიტიკურ სათავეებთან მიგვიყვანს. ასე ღიად და თვალშისაცემ ადგილზე, გაზვიადებული არ იქნება, თუ დავწერ რომ ტრასის პირას, პირდაპირ წამოჭიმო სართულებიანი სასტუმრო და მშვიდად განაგრძო ბიზნესის კეთება, უკვე აღარც მაკვირვებს და აღარც აღშფოთებას იწვევს.

ასეა რუსთაველის ქუჩაზე, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფალიაშვილისა და წმინდა ნინოს ქუჩაზე, ყველგან, სადაც არ უნდა გაიხედო მასიური და მსგავსი სიტუაციაა.

წერისას ვფიქრობ, ჟურნალისტების ფუნქციებზე, ვალდებულებაა დაგანახოთ ნაკლოვანებები, გითხრათ სათქმელი და წუთით მაინც დაგაფიქროთ საით მიდის ქალაქის განაშენიანების გზა?!

გგონია აშენებ და ქალაქს ამშვენებ?! შენმა მშენებლობამ ქალაქი უნდა გაალამაზოს და ხიბლი შემატოს და არა, გზად მიმავალს შეხედვისას უმალ გაგიჩნდეს კითხვა ეს სად აუშენებიათ?! რა სასტუმროს ადგილი აქაა?! სად იყავით ეს სიმახინჯე, რომ შენდებოდა, რატომ გაიცა ნებართვა, ასეთ უადგილო ადგილებზე ასაშენებლად?!

ასეა, ზედ მაგისტრალის, სავალი ნაწილის ხაზებთან შეხვედებით სასტუმროებს, უკვე ფუნქციონირებულ კმაყოფილებით მომზირალს. და თუ ამავე დროს ჩვენი პატარა ქალაქის ქუჩებში გაისეირნებთ, თვალს არ გამოეპარება, დაუსრულებელი, მაგრამ აშენებული შეჩერებული პატარ-პატარა ორსართულიანი სასტუმროების სიმრავლე, რომლთაც სასამართლო დავების გამო ობიექტებზე მშენებლობის



გაგრძელების უფლება აღარ მისცეს, რა თქმა უნდა პროცესის და დავის დასრულებამდე. ასეთივე პროცეს დაუსრულებელია და უკვე ათეულ წელსაც აღნიშნავს, ცარიელი კედლებ აშენებული ნაგებობა ფოსტასთან, გალფის ბენზინგასამართ სადგურთან აშენებული კიდევ ერთი ქალაქის სიმახინჯე, რომელმაც არა ერთი საავარიო სიტუაცია შექმნა და ადამიანთა სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო. ვერც ანგრევენ და ვერც აშენებენ გაყინულია დროსა და სივრცეში.

და რა ფასი აქვს ადამიანის სიცოცხლეს, მათთვის ვინც მსგავს ქმედებებს აწერს ხელს და თანხმდება უკანონო მშენებლობას, იწყებს და აშენებს ყოველგვარი სტანდარტების დაცვის გარეშე, მისთვის ხელსაყრელი ბიზნეს ინტერესების გათვალისწინებით. მარტივად, ფიქრობს მხოლოდ მის კეთილდღეობაზე, რაა მისთვის პატარა ტურისტული ქალაქი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბიზნეს იდეის და ტურისტების მოსაზიდად სჭირდება, არც იმაზე ფიქრობს, რომ ასეთი გარემო მალე ნაკლებად მიმზიდველი იქნება ნებისმიერი სტუმრისთვის. არა ხედით, არა გაუთვალისწინებელი გარემო პირობებით, ვის გავაოცებთ, ამ პატარ-პატარა საშინელი ნაგებობებით, გარაჟებით, დამხმარე სათავსოებით, უყურადღებოდ და უპატრონოდ მიტოვებული შენობებით. ბიზნესის განვითარების სახელს ამოფარებული ინტერესებით და ხალხის დასაქმების პერსპექტივას ამოფარებული საზოგადოება, სადაც დასაქმებულთა ხელფასი და პირობები სხვა განსჯისა და თემის სათქმელია.

ერთი თვეა, რაც წლების წინ გადაღებული ფოტო ვნახე, სილამაზის ხიდის მიმდებარე ტერიტორია იყო სურათზე გამოსახული. სიმწვანეში ჩაფლული... და დღეს... რითი შეგვიძლია მოვიწონოთ თავი?! ასე გაგრძელება არა მარტო ბორჯომს აკარგვინებს სახეს, არამედ ქვეყნის დიდ ქალაქებს, სადაც ტურისტი სულ მალე არჩევანს გააკეთებს პატარა მოწესრიგებულ და საოცრად მყუდრო სოფლის ბევრად ეკონომიურ და ეკოლოგიურად სუფთა გარემოსა და ტრასის პირას ხმაურსა და საშინელ გამონაბოლქვით გაჟღენთილ შეთავაზებულ სასტუმროს შორის. და თუ არ იცი სად წაიღო ფული, სოფელი განავითარე, გაალამაზე და დაუბრუნე სიცოცხლე.

**იზა იანვარაშვილი**

# სალოცმარო სკოლამ გვასახელა!

**საქართველოს** ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VI ეროვნულ კონკურსში, ბორჯომის სალოტბარო სკოლა ტრადიციულ გალობაში შეფასდა 96.7 ქულით, შესაბამისად მოიპოვეს ოქროს მედალი, ხოლო ხალხური სიმღერის კატეგორიაში შეფასდა 98,2 ქულით, შესაბამისად, მოიპოვეს ვერცხლის მედალი. ეს წარმატება ლოტბარის – **ლელა მუხურაძის** დამსახურებაა. მუდამ წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს მგალობლებს, რომლებსაც ბორჯომის სახელი ასე სახელოვნად რომ გააქვთ სხვადასხვა კუთხეში.



# დავით ნოზაძის გამოსათხოვარი



კიდევ ერთმა დიდებულმა ქართველმა, თხემით-ტერფამდე ინტელიგენტმა და უაღრესად განათლებულმა იურისტმა და ბორჯომისა და ბორჯომელთა დიდმა გულშემატკივარმა, 72 წლის დავით (დათო) ნოზაძემ გადაინაცვლა მარადისობაში. დაამწუხრა ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, ნათესავები და მეგობრები.

საზოგადოება ბატონ დავითს იცნობდა, როგორც სამშობლოს მოყვარულს და ჭეშმარიტ პატრიოტს, მშობლიური კუთხის ტრადიციების ღირსეულ დამცველს.

დავითი დიდ დარდსა და მწუხარებას მალავდა გულში, შვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო, მიუხედავად ამისა, ცდილობდა გარშემომყოფთათვის ყოველთვის ყოფილიყო ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

მთელი შეგნებული ცხოვრება მართლწესრიგის დაცვას შეალია. იყო უმაღლესი კატეგორიის მოსამართლე, დიდხანს თბილისის სააპელაციო სასამართლოში წამყვან იურისტად მოღვაწეობდა, გამოირჩეოდა საქმის ცოდნით და უაღრესად მაღალი კომპეტენციით.

ბატონი დავითის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ოჯახისათვის, ნათესავებისათვის, სამეგობროსათვის. მსუბუქი ყოფილიყოს მის მკერდზე დაყრილი მშობლიური ჭობისხევის მიწა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ კეთილშობილი კაცის სული. ამინ!

**მეგობრები.**

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნანა ჭანტურიას მეუღლის **დავით ნოზაძის** გარდაცვალების გამო.

ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში ცნობილი იურისტი, ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის ყოფილი წევრი **დავით ნოზაძე** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**ვყიდი** იყიდება რკინის სკამი. სიმაღლე – 62სმ, სიგანე -40სმ, ზურგი – 38სმ, ფეხის დასადგმელებით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ბარში.
ტელეფონი: 591 608 656; 22-00-35.
**იკითხეთ დალი**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე